

# რეპუბლიკური

საქათვეო და განათლები

რელიგიური მიღება



## მცირე წლოვანთათვის

№ XV

ა გ ვ ი ს ტ ვ

1906



ტფილისი

ვლექტრონმებელავი ამ. „შრომა“, მიხეილის ქუჩა, № 65  
1906

აგვისტო „ნაკადული“ № XV 1906 წ.

## შინაარსი:

1. ტყის სურათები.—ლექსი, ფაქ-ფაქტებისა და . . . . .	3
2. დათუნას წერილები.—დასასრული, კულტურული . . . . .	7
3. ფრთხილი მელა.—თხზ. ვაინერისა, აღ. შეკვეთის შედების 12	
4. გეოგრაფიული ცნობანი.—თარგმანი ინგლისურით, გაგრძელება . . . . .	18
5. გახართობი.— . . . . .	22

## ხელის მოწვევა შეიძლება:

რედაქტურაში და „წერა-კიონს. გამ. სახოგადოების“ კანკულარიაში. ქალაქ გარედ ჩვენს აგრძელებათ ბაზრიში: ანერა ეკანისათან და ნ. ლევანიშვილისთან; ძუთაბისში: „კოლხიდის“ სახოგადოებაში, ქნ. ბარბარე წერეთლისას და ანნა დადეშეკლიანთან; ბათუმში: მარიამ ელიაშვილთან, და ქნ. სოფიო ნაკაშიძესთან; სტაციონი: თელი სახოკიასთან, ქნ. ტერეზია შერვაშიძესთან და ნიკო თავდგირიძესთან; ახალციხეში: გრიგოლ ქიქოძესთან; თელავში: ქეთო ხარაუიშეილთან; გორიში: ქნ. ელენე ერისთავისას; ფოთიში: ქნ. ვლადიმერ სეიმონის ძე აბაშიძესთან; პიათში: ირაკლი დევანოზიშვილთან; გრევანში: მარიამ ტავლენიშვილთან; როზარიიში: წიგნის მაღაზ. „იმედში“; გვირგვინში: წიგნის მაღაზია „იკერიაში“.

---

 „ნაკადულის“ შარშანდელი მთელის  
წლის ნომრები იყიდება  მანეთად



## ტყის სურათები.

(სოლიკოს ოვერლიდან).



ემი წავედით მაჟაღლზე  
მე და ჩემი მმა კოგლია.  
ჩემი და სოფიც გვეხვეწა:  
„მებო, მეც გამიუთლია.“  
გადაგვეკიდა, წამობმშვა,  
თუმც ჩვენ ვუთხაროთ უარი:  
— ტემი, ექვებძი ფლამუნი  
რა კოგობის ძნო არი? —  
თან დაგვედევნა ტირილით,  
გაეინიძნდა ფრიადა.  
რომ მივდოდით გზაზედა  
ფრიდონაც ბეჭისჭიატა. —  
ბიჭია ჩვენი მეზობლის  
დიდი ებედი და სუმარა,  
გამბობს ამ მოის, იმ მოისას,  
არ დასდევს გიამს, თუ არა  
და არც დაიძლის შიგ და შიგ,  
თუ არა მოგატევა-რა.



ამ რიგად ოთხნი გავჭითდით,  
შეძი არა გაზტეს გულშია;  
მენუთე აშანაბადა  
უქან მოგვდევდა უურძია. 1)  
იმედი გვქონდა უურძასი,  
წელზედაც მეკრა სანჯარი;  
ვერაფერს ჩამოგვრჩებოდა  
მტელი, დათვი და აფთარი.

აფთარი თავისთვის იქოს:  
ჩემ გვეძინოდა დათვისა,  
რადგან ამბობდნენ სოფელში:  
„ხშირად ჰანტებზედ დადისა;  
დიდია, კამენის ტოლა,  
ბაბრი 2) უელ-თეთრი, ქედანა.  
არ ერიდება არავის,  
უძიმრად დადის უველგანა.“  
ამას ამბობდა დათვზედა  
საერთოდ მთელი ქვეყანა.

დაბურულს ტექში შევეღით  
ესლა აღარა გვცეკელოდა;  
წიფლის და ვერსვის ფოთლები  
ერთი მეორეს ჰქონდოდა.

ედომებოდნენ მზის სხიუებს,  
ცაში შეკრათ კარავი.  
წვიმის და მეტის სიცხისგან  
ცხოველ-მცენარეთ მფარავი.

სავსით მემკულის ტანიდან 3)  
მირს ციფრ წეარო დიოდა

1) ძალლის სახელია.

2) მამალი დათვი, დიდი ტანისა.

3) კლდე.



ან კარა, ბოლოდ გამსჭვირი  
რიღაცას შემოგეხიოდა.

რას მოგვითხრობდა, არ ვიცი,  
წეროს ბავშური ტიპტიკი.  
მსოლოდ ვსედავდი ქვიშაზე  
გაჰქონდა წენარი ლიკლიკი.

გარს ერტება ბუერის <sup>4)</sup> ჯარი,  
განზე გაერთხათ ფოთლები  
ჩადენაც <sup>5)</sup> გამოჭრეოდათ,  
როგორც სოფელში ობლები.

პირველად წეაროს მივმართეთ,  
ვსვით, დავიბანეთ პირები.  
ბუერით წეალი ნასიაძი  
გარება, გასაკეირები...

კივილ-ხივილით მოვედეთ  
ტექს, — ვკრებდით მავვალს, სოკოსა.  
სირბილში, მავვლის კრეჭაძი  
ვერავინ სჯობდა სოფოსა:  
მანამ ერთ მუჭას მოვერებდი,  
ქილა გაევნო გოგოსა.

ჩიტების ქრისმულთანა  
ჩვენიც ისმოდა ზრიალი.  
გვექიბრებოდა კოდალა,  
მორს მიდის მისი კრიალი.

დაუდეგარი ჯაფარი  
ნაუსი <sup>6)</sup>, გვერცხები ჰარია,

<sup>4)</sup> მცნარეა. ბრტყელი ფოთლი აქვს, ძირზენის ფოთლის მხავს.

<sup>5)</sup> მცნარეა (шапоротникъ).

<sup>6)</sup> ეშაკი, ხუმარა.




დახტოდა სიღან სეჭედა,  
 ჩვენსგნ ეჭირა თვალია.  
 სან ევავს აჯავრებს, სან მერას,—  
 კავანებს, როგორც ვარია.—  
 ინდაურიგით კივერვებს,  
 სან გააჯავრებს კატასა.  
 ჩვენაც მაღლიდან სიცილსა  
 ბებურიდა როგორც ჰანტასა.  
 აღარა ჰქონდა საზღვარი  
 წხიპეის სუმრობის მაღასა.

(დასასრული იქნება)

ვაჟა-ფშაველა.





## დათუნას წერილები.

1 მასი.



მმაო მიხო!

იდი უბედერება მეწვია. ღღეს დილით  
კიღაცა კაცი მოვიდა ჩემს პატრიონთან;  
რაღაცა ქლაპარაკა. მერე მოიტანეს ჯაჭვ-  
ვი, მომაბეს კისერზედ, დაშვეს ურემ-  
ზედ და წამიუგანეს. მე ბოდმით გული ძმევსო. დაგიწევ ღრია-  
ლი, მაგრამ ჩემს ღრიალს უურადღებასაც არავინ აქცევდა. ცო-  
რა მანძილი რომ გავიარეთ, მავისედე და ვნახე, რომ მურია  
ურემს უკან მოჩანჩალებდა. „სად მივევარო მეთქი?“ ვკითხე.

აი მაგ კაცმა გიუიდა და ასლა ქალაქმი მიუქესარო, მი-  
ჰასესა. მეც ვეღარ გავძელი და უკან გამოგევით, ჩვენმა პა-  
ტრიონმა ვერ გაიგო, ისე გამოვიარეთ. მე მლიურ მესიამოვნა  
რომ მურიაც ჩემთან იქნებიდა. სადამოზედ ძლიერ მიუვდით  
ქალაქმი. — უჲ, რა საძინელი მტკმრი დგას და ცუდი ჸაერია...  
იმდენი სასლები... სასლები... სალხი... სალხი... ტატა — ტა

— ტა!.. სულ ბეჭიფით ირევა. აქ როგორ უნდა გაეძლო—ძეთა  
ქი, ვფიქრობდი. ბოლოს მიშედით ქალაქის ვანახითის—ურთმა  
ჰატარა სასლაში და იქ ჩამომიუებანეს. მურიას ჯერ გაგდებას  
უშიობდნენ, მაგრამ მერე შეეცოდათ, ნახეს, რომ კარგი მაღლი  
იყო და ბლარ გაავდეს. იმ ღამეს მე და მურია ერთად ვიდა-  
ვით, ორივე დაღონებულები. მხოლოდ მეორე დღეს თუ ისე-  
თი სამარცხვინო საქმე მომივიდოდა, ამას-კი აღარ მოველო-  
დი. მეორე დღეს დიღა აღრიან გამოშიუებანეს ეზოში. ზედ  
ჩამაცევეს... ვაი სირცხვილო!.. ჰატარა გოგოს კაბა... თან, ამ  
დროს, ბეჭრი ხალხი მოვროვდა. სიცილი დაიწეუს. მერე, სა-  
დღან, ნაგვიდგან ამოიღეს შავი ჭუჭეიანი ქუდი და ზედ თავ-  
ზე დამსურებს. მტკრით ცხვირი გამომეუსო და ამიტედა ცხვი-  
რის ცემინება. სწორედ ორმოცდა ათჯერ დამაცემინა.

უოველს დაცემინებაზედ ჰატარა ბიჭები „ზასრუმალა“-ს  
და „ქოთათ“-ს მომაბისებდნენ ხოლმე. ისინი იცინოდნენ, მა-  
გრამ ჩემს გულში-კი არ ჩამოქედნათ, რა ნაირ მწეინდა ასე-  
თი გამასხარავება. მერე ჯოხი მომცეს სელში და მითხოეს:  
„ეს უაგარჯენა და აბა ერთი გაისეირნეო;“ თუ არ აყასრუ-  
ლებ, რასაც მიბრძანებენ, მაშინათვე ჯოხებს მომაულებენ  
ხოლმე ზურგში. მე ჯერ არ მესმოდა ასე რად მაწვალებდნენ,  
დღეს-კი ეპელაფერი გავიტა. დღეს წამიუებანეს სხვა დიდ  
სასლებში. იქ მათაბაშეს, მახტუნეს, ჯოხი მომცეს სელში და  
ისე მატარებს. მერე ჩემმა ჰატრონმა მოისადა ქუდი, შემოიარა  
ეზო და ზოგიერთებმა უულები მისცეს. აი, თურმე, რისთვის  
მტან ჯავენ—რომ თვითონ ფულები აიღან!.. მთელი დღე დაკ-  
წანწალებ სიცხვეში, მტკრით, ნახევრად მშიური... არ ვიცი,  
როდის ექმნება ბოლო ამ ჩემ ტან ჯვა-ჯვაებას. ასელა მშიდო-  
ბით.

## 15 მაისი.

მშაო მისო!

შენი ამბავი აღარ ვიცი. ნერა როგორა ხარ? რატომ არ შემატეობინებ? მე ისევ ძველებურად ქუჩა-ქუჩა დაძათორევენ. დღეს ერთს დიდს ეზოში შევედი. კარგა ხანს მათამაშეს, როდესაც წასვლა დაკაპირეთ, ამ დროს შემოივანეს ერთი რაღაცა ხასაცილო ცხოველი. ჰატარი ბავშვსა გვანდა, მსოლოდ მაღწედ მავი იუთ და გრძელს კუდს დაათრევდა. ტანზედ ქალის. გაბა ეცვა. თავზედ ძლიაპა ეხურა. მეტად სასაცილოდ იგრისებოდა და იპრანჭებოდა. იმის შემოვანაზედ, ბავშვებმა ეიქინა დასცეს:

— მაიმუნი, მაიმუნიო!.. მოდი მაიმუნი და დათვი ერთად ვათამაშოთო. მოივანეს ჩემთან. ჩემს დანახვაზედ მაიმუნი ას-



ლოს მოვიდა და „ჩესტია“ გამაჭეთა. ბავშვებმა აპტეკეს სიცილი. მე გაჯარებულმა შეუძლვირე მაიმუნს. იმას აღბად შე-

ეძინდა და უკან-უქან წავიდა. მერე დაიწეო პრანქია-გრუბა, ხან ენას მიუთვდა, ხან შორიდან კენჭებს მესროდა. მუჭოთ უქარეს მთვის, უურადღება არ მივაქციე. „საწეალი, ვფიქრობდი ჩემ-თვის, რა ს ულელია!.. ეპეც ხომ ჩემსავით დატევებებულია, ჩემსა-ვით უბედურია. მაგრამ ეტეობა თავისუფლება დაკიწებია.“ მერე, უცბად, ერთმა აზრმა გამიარა თავში: „ჩემ—დათვები, მაიმუნები და სხვა ამგვარები, რომ არ ვმასხარაობდეთ და მით ხალხს არ ვაცინებდეთ, ხომ არ შეგვინახავდნენ ასე დატევებებულს; ან დაბენოცდნენ და ან გაგვრებდნენ. განა სიკედილი არა სჯო-ბია მონობას? მე გადავსწევიტე, ამის შემდეგ ისეთი აღარა-ფერი გაუაკეთო, რომ ხალხი გავაცინო.

შენი დაოუნა.

## 22 ივნისი.

### მისოვან!

მლიერ გახარებული ვარ. ესლა მე თავისუფლით ვარ და მაღვე ერთმანეთს ვნახამთ. აი როგორ მოხდა ესა: მე და მუ-რიამ ჩემი ჯაჭვის კლიტის გასხნა ვისწავლეთ. წუხელის, რო-დესაც ეველამ დაიძინა, ჯაჭვი მოვისხნი და ორივენი გამო-ვიქეცით, როდესაც ქუჩის კარებს გავცილდით, ორივემ დაჭი-ბახეთ: „გაუმარჯოს თავისუფლებასა“—ო და მოვკურცელეთ. ქუჩაში ვიდაცები დაბგედები ქმეტებით, მაგრამ რას დაბმუ-წეოდნენ!.. მივრიოდით და თან ვიძახოდით: „გაუმარჯოს თა-ვისუფლებას, მირს ბატონები.“ როდესაც ქალაქ კარედ გამო-გვდით ცოტა დავისვენეთ. მერე მე ტეისკენ გამოვსწიე და მუ-რია თავის სასლომი წავიდა. მურია დამშიორდა, ხანდის-ხან გა-მოვივლი ტუისკენა და გნახავო. ასლა მე მოვდივარ შენთან.

დღიდ მუხა, რომ არის, ხომ იცი. იქ მოვალ და შოგიცდი.  
შენც იქ მოდი, მერე იქიდან სახლიდ ერთად წავიდგინდეთ.

შენი ძმა დათუნა.

ჩემი ადრესი: მუხარი, პანტის კუჩა, მაგალის შესახვევა № 25.

ყიფლიკო.





## ფრთხილი მელა.

(თბ. ვაკნერისა).



ა უნდა უკის ადამიანმა იმ ამოსაგდებ მელას, ლამის არის ქათმობა გამიწეოს; ამას წინად ორი ღეგმელი და ერთი ისეი მოძრავა. ეოჭელ ღამე მაღლის ავუშვებ სოლმე, მაგრამ იმ ჩამოსახრჩობს რომ მაღლისაც არ ეშინაან! ხაფანგიც ღავუგე, შიგ შემწვრდ სორცის ხაჭჭრი გაუკეთე, მაგრამ ის ტიალი ზედაც არ ეკარება. ეოჭელ ღილას-კი თოვლზედ ხაფესურებსა ვნახავ სოლმე, ეტეობა ღამ-ღამე ღაეცეცება.— ასე შესჩიოდა მონადირეს კლები.

გამოცდილმა მონადირემ კარგად იცოდა, რაც უნდა მოუხერხებინა კუდიანი მელასათვის.

საქმე ჯობნაზედ მიდგა და აბა ვნახოთ, ვინ გაიძარვებს.

ღილიდანვე მონადირემ თოვითა და მაღლით მოიარა კარშემო მინდორი, რასაკვირველია, იმისთვის-კი არა, რომ მელა მოუკლა, არა! მაღლიან კარგად იცოდა, რომ მელას ღლისით ვერ შეხვდებოდა. ვინ იცის, იქნება ამ დროს ემინა კიდეც

თავის სორისი. მსოდნოდ უნდოდა გაეგო: რომელ მხრიდან  
მოიპარებოდა ის ქურდ-ბაცაცა. აკერ, იმოვა კიდეცის გადაწყვეტილება  
საჩქაროზე გააკეთა იმოდენა თხრილი, რომ თვითონა და თა-  
ვის ძაღლი ჩატელიერებული გადასაფარი. გადახურა ფიცარი, წაავარა მიწა-  
და ზევიდან თოვლი გადასაფარი. გაუკეთა ვიწრო შესხვალი-  
და დაატანა სათოვჭური. თხრილიდან რაძღვნამე ნაბიჯის სი-  
მორეზე ცხენის სორცის ნაწერი დასწო.

საღამოხანზე მონადირებ გატენა თოვი, შეძვრა თავის  
ძაღლით თხრილში და დაუწეო დაღამებას ლოდინი.

აკერ შემოღამდა კიდეც, ამოანათა მთვარებ; სოფელი მიღს-  
და მოსკენებას მიეცა. მელამაც გამოიერ თავი სორადან და,  
ჩეკელებისამებრ, სიყრთხილით გამომვრა. დიღხანს იდგა ძე-  
ლა და აქეთ-იქით იუურებოდა, ათვალიერებდა: სომ არა აუა-  
ჩუნებს რაო, ან და სიფათი სომ არსადან მომელისო. აიდო-  
ცხვირი და დაუწეო ჰაერს სუნვა. აქა, ცხენის სორცის სუნია!  
როგორ ესიმოვნა მელას ეს სუნი. მერე ორი დღებ არა უქა-  
მია რა მავი მოცხარის თრითე მარცვლისა და ერთი მწლე-  
თავის გარდა. იმ უსამართლო გლეხმაც მიუვალ ადგილას.  
მიმღებ თავისი ქომები!

გახარებული მელა სორცის სუნს მიჰევა, მაგრამ ერთს  
შატარა გორაკზე უციბად შესდგა. მონადირებ შეამჩნა მელა,  
სროლაუკი კერ გაბედა, რადგანაც გორაკი თოვის სასროლად  
შორს ცეო. სულ-განძისული უცდიდა მელას მოახლოვებას.

აგროვებული მიწა მელას წევაში არ მოუვიდა: წინად არ  
იყო და ეხლა საიდან გაჩნდა? სჩანს რაიმე საფრთხეა აქა. სი-  
ყრთხილებს თავი არა სტკივათ, — ფიქრობდა მელა. კარგა სანს კურადღებით სინჯავდა სორცსა და მიწის გროვას. ბოლოს  
ჩამოირბინა გორაკიდამ და ამ სიფათიან ადგილს ფრთხილად  
შემოუარა გარს. სუნავდა ჰაერს და აქეთ-იქით უკადღებით  
იუურებოდა. ჩქარა მელამ მთელი წრე შემოირბინა და ისევ,

კორაკშედ წამოს კუტბა. სიმშილით კუჭი ეწვის უბერეულს, რა ძისწრება იქნება ცხენის სორცის ნაწერი! მასე-კი უნდობოდ ასე კარგათ აქეს მეღას ძებწევლილი, არხადა სხანს; მსოლოდ ეს მიწის გროვა პატარა ფანჯრით ძალიან აფიქრებს: „უსა-თუოდ შეგ არის ვინმე, ფიქრობდ მეღა; ნეტა რა იქნება, რომ საქვეო მიწის გროვას და სორცის ნაწერს შეგ გავერ-ბინო? თუ არის ვინმე, სომ უნათუოდ გამოსტება! ერთი ცდა საჭირო და მერმე-კი გამარჯვებული მე ვიქნები.“ როგორც იქო გაბედ, მოიგრია რაც ძალი და ღონე ჰქონდა და მურ-ღულიერი გამორინა სათოფურისა და სორცის შებ.

მონადირეს კარგად რომ რა სცოდნოდ მეღას სრიკები, უსათუოდ ესროდ და მგონი რომ ააცდებდა, მაგრამ გამოც-დილ მონადირეს არც-კი გაუჩერენია.

ამ სრიკება შევიდობინად საუბარა მეღას, მაშასადამე მიწის გროვის ასლოს სიარული შეიძლება; შეგ არავინ არის, თო-რებ სომ გამოვიდოდა. „მამ რიგისი მემინიან!“ გადასწევიტა მეღას და ნეღის საბიჯით მივიდ სორცობან, ერთი კიდევ მიი-სედ-მოისწედა და დაუწეუ სორცს მიძვა.

ამასობაში მონადირე ფრთხილად ბიღო თოვი და უც-დიდა როდის მომრუხებოდ მეღა ისე, რომ მიზანში კარგად ამოვლო... იგრიბლა თოვება! თოვის ლულიდან ელვასავით გამოვარდა ცეცხლი, გამოსხდა ბოლი და გაიძალა საფანტი.

საცოდავი მეღა ტყივილისაგან ერთს ადლზედ შეხტა და უსულოდ დაუც მირს. რამდენიმე წუთის შეძლებ მონადი-რებ თავის ჩანთაში ჩაიდო მეღა და მინისკენ გასწია.

ღლ. მჭედლიშვილი.





## ყვავილები.

(თარგმანი)



ეპიძლიანთ ბაღში სათამაშოდ წახვიდეთ,  
— უთხრა მამამ თავის შვილები: — მხოლოდ  
ფრთხილად იქავით, ეჭავილები არ დაქა-  
ლოთ და არც მოკრიბოთ.

სამიგენი და ჭრილნენ — ფრთხილად ვი-  
ქნებითო, გამოართვეს ბაღის ქარის გასა-  
ღები და წავიდნენ.

ბაღი დიდი იუო, ეჭავილებიც მრავალი, სილის ბუჩქები  
უფრო მეტი, მხოლოდ კინ ქუსა, მოცხარი, ქოლო და სხვა  
სილეულობა ჯერ არ დამწიფებულიერ.

ბავშვები სან თებალ-ხუჭინას თამაშობლნენ, სან დარბოდ-  
ნენ — რომელი აკობებსო; ბოლოს დაიღბლნენ და დასახვენებ-  
ლად ქორდზე ჩამოსხდნენ.

— უშ! რა დავიდალე! — სთქა კივლაბ.

— იმისთანა თამაშობა მოვიგონოთ, რო სირბილი ადარ  
მოგვინდეს, შენიშნა ივლიტამ: — უველანი დავიდალეთ.

— მოდით, რამე წარმოვადგინოთ, — სთქა კანობ.

— რა უნდა წარმოვადგინოთ? — იკითხა ივლიტამ.

— ის წარმოვადგინოთ, რაც გუშინ წავიკითხეთ, — სთქა  
კანობ, — მე რომის იმჟრატორი ვიქნები, ივლიტა ქრისტიანი,

რომელიც ნადირებს მისცეს შესაჭმელად, მენ-კი, გრგლა,  
ვეფუტვი იქავ.

— არა, მე-ლომი-ვიქნები; — სოჭა გიგლაძ—შხოლოდ, რა  
ჩაგიცვა?

— შენი ხალათი თავზე ჩამოიცვი და სასე აღარ გაძო  
გიჩნდება, ქამარი-კი უდის შემოიკარი, ვითომ საუელოა,—  
ლომები ხომ საუელოებიანი გამოჰყავდათ. ხალათიც ლომის  
ფერია!

— მე რაღა ჩაგიცვა? — იკითხა ივლიტამ.

— მე და შენ გვირგვინები დაგვჭირდება; მე ფოთლებისა,  
შენ-კი უვავილებისა.

— უვავილები სადღა ვიძოვოთ? — სოჭა ივლიტამ: — მამამ  
რომ გვიბრძანა, არ მოკრიბოთო.

— ცოტა მოვტრიბოთ, რა დიდი საქმეა .. წამოსასხამი სად  
უნდა ვიძოვო; იმშერატორის უქშელად წამოსასხამი უნდა  
ჰქონდეს.

— აი ჩემი ფეხტამალი! — სოჭა ივლიტამ: — მურე ჭრელიც  
არის! მშენიერი რამ იქნება, აჟა, შეხედე.

დამ უქმტამალი მოიხსნა და მმას წამოსასხამი  
მშენიერი გამოდგა.

დაიწეს გვირგვინების წვნა. ისე გაურთნენ, რომ გვირ-  
გვინს შეი გულში ასლად გამლილი უვავილი ჩააწენეს.

გვირგვინის წვნა გაათავეს. სკამზე კუნძი დადეს, ვითომ  
იმშერატორის ტანტრია; პატარი კორდი ცირკი უნდა უოუი-  
ლიფო. ლომი — გიგლა ოთხზედ დახტის და სახარლად დრიბ-  
ლებს. აქვე თავ ჩაღუნული ქრისტიანი — ივლიტაც გამოვიდა;  
ლომმა საძინლად დაიღრიბლა და იმის წინ დადგა...

მაგრამ სწორედ ამ ღროს გაიღო ბედის კარი, მამა მე-  
ვიდა და მოთამაშებს თავს წაადგა. იმშერატორის და თითონ  
ლომსაც ისე შეეძინდათ, რო ძღივს-და ლუდლუდებდნენ:

— მამა! გენაცვალე, მამა, ცოტა ევარილები მოვკრიბეთ.  
— ბაღიდან გადით,—სთქვა გაფავრებულმა მამამა: მარტოდა  
თქვენს დღეში აღარ შემოგიშვებთ, არა ღირსხართ?

ანტონ





## გეოგრაფიული ცნობანი.

(თარგმანი ინგლისურით)

(ბაგრატ ქარავა)

საიდან ჰქონის ქარი?



ოდესაც ბაჟშები შინისექნ ბრუნდებოდნენ (ისევ იმავე გზით —წეალწეალ) თუმცა ძლიერ ცხარე მზე იდგა და მაღაზედ იქმინებოდა, მაგრამ ცივი სიო უგრილებდა მათ სახეს. ამგვარ სიოს ჰქინიან გრილი ნიავი, სთქვა ბიძია ბობმა.

- აბა შეგიძლიანთ ამისსნათ —თუ საიდან ჰქონის ქარი?
- ჰკონი, სოფლის მხარედან, სთქვა ტომბა.
- დიახ, იქიდან უპასუხა ბიძია ბობმა. მაგრამ აბა ერთი მითხარით: საით მხარეს მდებარებს ჩვენგან სოფელი?
- ჩრდილოეთისექნ, მიუგო ვილლიძმ.
- ქარგი და პატიოსანი, სთქვა ბიძია ბობმა. ეს ქარი ჰქონის ჩრდილოეთიდან. ასე რომ როდესაც ქარი უბერავს ჩრდილოეთიდან, და არა ჩრდილოთის კენ, —ეს არ შევეძალოთ, ამ ქარის ვებასით ჩრდილოეთის ქარს, როდესაც სამხრეთიდან —სამხრეთისას, —დასავლეთიდან —დასავლეთისას. მა-

შასადამე, ორდესაც ოთხი უმთავრესი წერტილი, კ. ჩ. ჩერდილი  
ლოეთი, სამხრეთი, აღმოსავლეთი და დასავლეთი ჭრილი, მაგრა  
მინ აღვილად შეგვიძლიან გავიგოთ—თუ საიდან უბერავს ქარი.



აი კიდევაც მოვედით სოფელში, სოჭა  
ბიძია ბობმა,— მხოლოდ ვიზრე სახლში და-  
გბრუნდებოდეთ, მსურს ცოტა რამ კიდევ  
გიჩვენთ.

ბიძია ბობმა წაასხა ბაჟვები ეპელე-  
სიისქენ,— და ჰყითხა: აბა შეხედეთ გუმ-  
ბათის წევრს და მითხარით, რას სედაჭთ  
მასზედ?

— წვენ ვხედავთ რაღაცან, ფრინველის  
მგზავს, სოჭა ტომბა, და მის ქვემ ორ ჯერედინად გადადე-  
ბულ ჯოხს, რომელთა ბოლოებზედ მოჩანან ასოები.

— რა ასოებს სედაჭთ ამ ჯოხების წევრებზედ? ჰყითხა ბი-  
ძია ბობმა.

— ერთს წვერზედ ვხედავთ ჩ., მეორეზედ ს., მესამეზედ ა.,  
მეოთხეზედ დ., მიუკო ვილლიმ.

— აბა გამოიცანით—თუ რას ნიშნავენ ეს ასოები? ჰყითხა  
ბიძია ბობმა.

ჩრდილოეთს, სამხრეთს, აღმოსავლეთს და დასავლეთს,—  
სწრაფლ მიუკო ტომბა.

— მართალია, სოჭა ბიძია ბობმა. მაგ ჯოხის წევრები  
უჩვენებენ: ჩრდილოეთს, სამხრეთს, აღმოსავლეთს და დასავ-  
ლეთს. იმ ფრინველს, რომელიც ზევით მოჩანს, ეძახიან  
„ამინდის მამალს\*).“ ის ტრიდალებს ქარის დაკვარად,—  
ნისკარტი უჩვენებს იმ მხარეს, საიდანაც ქარი მოდის. აბა

\* ) ზელიშვილი. ინგლისში ეკულესიები წოწოლა გუმბათიებიანი არიან,—მათზედ,  
როგორც ჩეენ ეკულესიებზედ, არ არის აღმართული ჯვარი. მათზედ აღმართულია ამ  
გვარი „ამინდის მამალი“.

შეხედეთ და მითხარით: საით მხარეს აქვს ეხლა მიქცეული  
ნისკარტი?

— ჩრდილოეთისკენ, — უპასუხა ტომმა.

— სწორედ ეგრეა, სთქვა ბიძია ბობმა, რადგანაც ქარი  
მართლაც ჰქონის ჩრდილოეთიდან.

— მამ რისთვის უძასიან ამ ფრინველის „ამინდის“ და არა  
ქარის „მამალს?“ ჰყითხა ვიღლება.

— ჰემმარიტი შენიშვნაა, მაგრამ უნდა იცოდეთ, რომ, სთქვა  
ბიძია ბობმა, ინკლისელები ამბობენ: „ქარი და დარი სე-  
ლისელს გაერიდნი მოდიანო,“ ამაშიც დარწმუნდებით,  
თუ ოდესმე ზღვით მოგზაურობა მოგისდათ. ჩრდილოეთის ქარს  
ხშირად მოზღვეს სიცივე, სამხრეთისას — სიობო, დასავლეთისას  
წერიძე და აღმოსავლეთისას გვალვა.

### ფ ე რ მ ა.

ერთ საღამოს ბიძია ბობი ფერმის კარებთან იდგა, რო-  
დესაც თვალი მოჰქონა ტომმა და ვიღლის, რომელნიც მირ-  
ბოდნენ სასოფლო გზაზედ.

— თქვენც აქა ხართ! წამოიძანა ბიძია ბობმა. აბა ვნა-  
ხოთ, — როგორ დაისწავლეთ ჩემი ნათქვამი.


ბავშვები, რომელნიც ძლიერ შეჩვეულნი ჰქვანდა ბიძია  
ბობს, კამოუქანენ მისკენ.

— ამ რამდენიმე დღის წინად, როდესაც ჩემ ვიღებით  
ფიჭვის ტეის მთის წვერზედ, სთქვა ბიძია ბობმა, და აქეთკენ  
ვიუვრებოდით, თქვენ მითხარით, რო ფერმა და სიობლი ჩემნ-  
გან ჩრდილოეთისკენ არისო.

— დიას, მიუბეს ბიჭებმა.

— კეთილი, სთქვა ბიძია ბობმა! ასენა მსურს გკითხოთ:

თუ-კი ფერმა ფიჭვის მთიდან ჩრდილოეთისაკენ ფერმიდან სათ მხარეს იქმნება?



— ფერმიდან სამხრეთისკენ, უასესა ვიღლლიმ.

— მართალს ამბობ, მიუგო ბიძია ბობბა. ეხლა-კი დაფრწმუნდი, რომ კარგად გქონდათ შესწავლული ჩემი ნაამბობი და სადაც უნდა იდგეთ—შეგიძლიანთ გაიგოთ თუ რა რომელ მხარეს მდებარებს და საიდან მოდის ქარი.

ეხლა ჩემი სურვილია, რომ ხვალ მიაქციოთ ოქანი უარადება შექს. ადგებით თუ არა დილით, მაძინვე დანიშნეთ,— რომელ მხარეს სასლისას მოადგა მზე,—ესრეთვე მოიქციოთ, მოხვალოთ რა შინ საუზმის საჭმელად და საღამოზედ სასწავლებლიდან.





## არივები მონაცირიზი.

ორი ბრიუვი სანადიროდ წავიდა. შევიღნენ დიდი ტექში და დაინახეს, რომ ერთს მაღალს სეზედ მტრედი ჸის. ერთმა მამულური გათაღა და ცეცხლი დაანთო; მეორემ სეზედ იწეო ასვლა მტრედის ჩამოსაუყავნება; შეა სეზედ რომ ავიდა, თვალები და ხუჭა, კვონა დადამდება, მტრედი კედარ დამინახავსო. თვალ-დახუჭული მონადირე ხელებს ფრთხილად აფათურებდა. უცემ ტოტი მოუტედა და კინადამ ჩამოვარდა. სმაურობაზედ მტრედი დაფრთხა, გაფრინდა. მტრედის გაფრენა რომ შეიტეო, მონადირემა გულ-მოსულმა თვალები აწეირა და იმ ტოტს ეცა, სადაც მტრედი იჯდა. „მტრედი თუ გაფრინდა, მე-კი ვერ გავაფრინდებით?“ — დაატელაშენა ხელები მტრედსავითა და გადამოეძვა ძირსა. მაგრამ ის თქვენ მტერსა, რაც იმას დღე დაადგა: ისეთი ბრეგვანი მოიდო, რომ მთლად არე-მარებ ბანი ძინცა. მოსწერინდა ამხანაგს ცეცხლთან ლოდინი, მიიხედ-მოიხედა და წავიდა ამბის შესატეობათა. მივიდა, ნახა, ამხანაგი უგონოდ ეგდო მიწაზედ. ბევრი ანძრია ფქსითა უმახა: მტრედი რაუეავიო, მაგრამ სმას აღარ იღებდა. მოწევენილი დაბრუნდა სახლში გაწილ-დებული ამხანაგი, მაგრამ გულში სიხარულით ნიშნს უგებდა ტექში დარჩენილსა: ახია იმაზედ: ისარბა უთუოდ და უძი შეჭამა მარტომ და მუცელი იმან შემოჭბერათ!,, ის-კი რომ გულ-შეღონებულს ამხანაგს მობრუნება და შეელა უნდოდა, ფიქრა-დაც არ მოჰსვლია, ისრევე როგორც პირველმა ვერ მოისახ-რა, რომ უფრთოდ ფრენა არ შეიძლებოდა.



## პრივატურული ამოცანა.

(წარმოდ. დოკ. დეკანოზიშვილის მიერ).

ერთს გზაზედ ოთხი ღუქანი იურ. უოფელ ღუქანთან თითო ქაცი იდგა და მეოდეველს შესვლაზედაც კაპიკს ახდევინებდა და გამოსვლაზედაც.

გაიარა ამ გზაზედ ერთმა გლეხმა, შევიდა ღუქანში და, რასაკირველია, შესვლის ფასი—ერთი კაპიკიც გადაიხადა. ღუქანში თავის დანარჩენი ფულის ნახევარი დახარჯა და გამოსვლისას ისევ ფასი გადაიხადა. მეორე ღუქანშიც ასე მოიქცა, მესამეშიც და მეოთხეშიც. როდესაც მეოთხე ღუქანიდან გამოვიდა, დანახარჯი ფულის თვლას მოჰყევა და ძღმოჩა, რომ აღმოციდა ერთი კაპიკი არ დარჩენოდა. რამდენი კაპიკი ჰქონდა გლეხს ღუქანში შესვლამდე?

## III ა რ ა დ ა.

(წარმოდგ. თ. კანდელაკის მიერ)

ერთი სიტყვით იხსენიებს  
ქალი ქალსვე საუბრის დროს,  
მეორეკი რიცხვსა ნიშნავს —  
ათხე ნაჭლებს, მქონე უფროსს;  
ორივ ერთად — გამჭერვალე  
ევითელ საგანს, როგორც ოქროს.  
უკელა ახსნის ამ ძარბდას,  
ჰატარა ხანს რომ ივიქროს...  
იმით მმიღებს აქეთებენ,  
ძალაზე ასხმენ, — სხვილსაც, მომცროს.



გ ა მ ო ც ა ნ ე ბ ი.

- 1) მიღის მოღის ქარავანი,  
არ უცვდება ქალამანი.
  - 2) ოქრო ბზინავს,  
ოქრო ბრწყევინავს,  
ოქრო მიქრი-მოქრიალობს.
- 

**პე-14 პ-ში მოთავსებული რეტუსის ასენა:**  
**ქოთანი ცეცხლში გამოიწვის.**

**ანთვრამბას ასენა:**

- |         |          |          |
|---------|----------|----------|
| 1) ფარი | 7) დარი  | 13) ვირი |
| 2) სარი | 8) ზარი  | 14) კირი |
| 3) ბარი | 9) თარი  | 15) გირი |
| 4) ტარი | 10) ქარი | 16) ჭირი |
| 5) დარი | 11) უარი | 17) ჩირი |
| 6) ქარი | 12) ბარი | 18) ძირი |
|         |          | 19) პირი |

გამოცანების ასენა: 1) წურბელა; 2) წინდის ჩირები.  
შარადას ასენა: კი—ბე=კიბე.

---

114.

Fig. T-42



1997-2  
100